№ 194
კვირა, 10 სექტემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 194
კვირა, 10 სექტემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი,
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 6 გვერდია.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 11 სექტემბერს **კრწანისის ველზედ მეფის ერეკლე II ჯარსა და აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის შორის მომხდარ ბრძოლის ასის წლის შესრულების დღეს**, ლიტურგიის შემდეგ ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, კრწანისის ველზედ, გარდახდილ იქნება **პანაშვიდი მართლ-მადიდებელ მეომართა სულის მოსახსენებლად**, რომელთაც სარწმუნოებასა და სამშობლოს შესწირეს თავი და აგრეთვე სამადლობელი საღმრთო ჰარაკლისი **სამეფო, საიმპერატორო ოჯახისა** და ქრისტეს მოყვარე რუსეთის მხედრობის სადღეგრძელოდ, რომლის მფარველობის ქვეშეც საქართველო ერთის საუკუნის განმავლობაში დაურღვეველის, მშვიდობიანის მოქალაქობრივის განვითარებით სარგებლობდა.

დასაწყისი ლიტურგიისა იქნება დილის 9 საათზედ.
(6—5)

## ტფილისი, 11 სექტემბერი.

ხვალ, 11 ს სექტემბერს, კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული საოხად და სახსენებლად იმ საოცარ გმირებისა, რომელთაც ამ ასის წლის წინად სწორედ ამ დღეს თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავის რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა. ვინც კი მოასწრო ქურდულად მოსეულის მტრის გულ-და-გულ დასახვედრად და თავისის წმინდა სისხლით მორწყო კრწანისის მინდორი, ყველამ იცოდა, რომ იგი საშინელი დღე დღეა დიდის განსაცდელისა; დღეა, როცა ბედი ქართლისა უნდა გადასწყდეს, როცა ჰყო, თუ არა საქართველოს არსებობისა თვალ-წინ დაუდგა თავ-გადადებულ ვაჟკაც მამულის შვილებს, როგორც ხმალ-მოღერებული სულთამხუთავი და ყველა ელოდდა ვაჟკაცურის გულის-ცემით უკანასკნელს სიტყვას ჩვენის ბედის განაჩენისას, ხმლის ტარზე ხელ-მოკიდებული და სასიკვდილოდ გაფიცული.

ყველა იქ მყოფი ჰგრძნობდა, რომ იმ დღეინდელი გამარჯვება, თუ დამარცხება უქმად არ ჩაუვლიდა სამშობლო ქვეყანას. ყველა ჰხედავდა, რომ იმ დღის გამარჯვება მარტო მოგებას ომისას არ მოასწავებდა ვაჟკაცთა თავ-მოსაწონებლად, არამედ ხსნას ქვეყნისას წაწყმედისა და დამხობისაგან და ამ მამულიშვილურ გრძნობით გამსჭვალულთ

„მრავალ უმაწვილ კაცთ, ნუგეშთა ქართლის
დასდეს აქ თავი მამულისათვის“. [1])

ამიტომაც ასე ალაპარაკებს ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილი იმ დიდებულ მეფეს, რომელთანაც „ერთად მარხია სამარეს დიდება ივერიისა“ და რომელსაც, მეორე პოეტის სიტყვით,

„მთელი სიტურფე ქართლისა
ესვენა მძიმე მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა“. [2])

და რომელიც ასე თურმე ეუბნებოდა ჯარს, კრწანისის მინდორზედ საომრად გამზადებულს:

საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!..
დღეს აჩვენებს მამულს მხნეობა!..

[1]) ნ. ბარათაშვილი.
[2]) ვაჟა-ფშაველა.

დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული,
ვის უფრო უყვარს, ძმანო, მამული!..“

რასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ სამასი არაგველი იქავ მეფე ერეკლეს წინ გაიფიცნენ და მერე იმიდამ ერთი ცოცხალი არ გამოვიდა:

«თუ გაგვიწყრება ღმერთი და
ვერა განვდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ ვინც ჩვენგან
შინდა წავიდეს ცოცხალი!»
და გარდიწერეს პირჯვარი,
გაუკაცებრ ხმალი იშიშვლეს
და შავარდნებრ მივარდნენ
სპარსთა ურიცხვთა სიმრავლეს!..
შესძრეს... გაჰფანტეს... მარამა
ზედ თავიც თვისი დასდვეს!..
ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს!
მათცა სიკვდილით შეჰმოწმეს!..» [3])

რასაკვირველია, ვამბობთ, ყოველ ამის შემდეგ, რომ ერთი მუჭა ჯარი საქართველოსი არ შეუშინდა ერთი ათად მეტს მტერსა და მინამ ფეხზედ დგომა შესძლებიათ, მტრისათვის ზურგი არ ჩუვენებიათ, ხმალი ქარქაშში არ ჩაუგიათ და ერთი ერთმანეთი მხ-უ ნევებიათ ამ სიტყვებით:

«ქუდი ნუ ჰხურავს თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა!..
ვინაც ცოცხალი მტერს დარჩეს
უმადა და სასაცილოდა,
ღვთისაგან წყეული იყოს
გვარით საშვილი-შვილოდა.
თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
გაგვწირონ სასიკვდილოდა,
მოვკვდეთ,—გვესუროს მიწისა
ნაბადი მოსათბილოდა». [4])

[3]) გრ. ორბელიანი.
[4]) ვაჟა-ფშაველა.

გაიწირნენ კიდეც სასიკვდილოდ, შავი მიწა ერგოთ ქვეშ ლოგინად და ზემოდამ მოსათბილობელ ნაბდად. დაიხოცნენ, მაგრამ დიდი მაგალითი გვაჩვენეს იმისი, თუ—რა შეუძლიან მამულის შვილს, როცა გულში აბჯრად აქვს ხსნა ქვეყნისა და ხელში ხმალი სახსრად. შვიდი ათასმა კაცმა სამოც და-ათი-ათასი მტერი შეაყენა, შეაბრკოლა და უოფილა წუთი, როცა ადგილიდამ დასძრა კიდეცაო, და პირი აბრუნებინაო.

ჩვენ აქ ამ ჩვენის ბედის წერის დღის ისტორიას არა ვწერთ. ჩვენი სურვილია ხვალ ყველა დამსწრემ პანაშვიდზე ცხოვლად აღიბეჭდოს იგი საოცარი სურათი ვაჟკაცურ მამულიშვილობისა, რომ შვიდი ათასი თავ-განწირული ქართველი უშიშრად და უდრტვინველად გულ-და-გულ დასჯახებია სამოც-და-ათი-ათასს ზედ-მოსეულს მტერს და თვითეული ლომად ქცეულა იმ წმინდა და დიდებულ აზრით აღფრთოვანებული, რომ თავ-და-დებას და თავ-განწირვას ითხოვს დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა. აი ის ცხოველი სურათიც იმ საშინელ ომისა, რომელიც დღეს აქამომდე ჩვენის ერის სულსა და გულშია დამარხული და იქიდამ ამოღებულია პოეტის მადლ-ცხებულ ზედ-მიწევნის ნიჭითა:

„ქალაქით კრწანისს გაკვდით.
გვლოდებოდით მტერსაო,
შორს მოდიოდნენ წყეულნი,
ცაში ადენდნენ მტვერსაო.
დაჰკრეს ნაღარას, საყვირსა,
აქოთდა გიჟი ბუკები
ჩვენი აქ, იქით თათრისა,

# ფელეტონი

## უკვდავ გმირს.

ერეკლევ, ჩვენო დიდებავ,
ქართველნი გემადლებიან,
ვიგონებთ შენსა გმირობას,
თვალს ცრემლნი გვიბრწყინდებიან,
ვიხსენებთ ათას საქმეთა,
გულს ცეცხლნი გვეკიდებიან,
სული წუხს, გული ქვითინებს—
ორნივ ყელს გვებჯინებიან;
ჩვენი მოთქმა რომ ესმოდეთ,
ზღვანიც კი დაცაშრებიან,
მაღლა მზე მთვარე, ვარსკვლავნიც
იგლოვენ, დაბნელდებიან,
ბუმბერაზ მთანი მყინვარნიც
გულ-მდუღრად ატირდებიან,
კრწანისის ველის ყვავილნიც
ცრემლებად დაიღვრებიან,
ცა მეხთა ნამტვრევს აწვიმებს,
ულვთონი გაცასწყდებიან.
ევედრე, მეფევ, ღვთის-მშობელს,
ივერნი შეიცვლებიან:
ქალწულნი მზისა სადარნი
დედებათ გამოდგებიან,
მათ დაემონვენ ჭაბუკნი,
ისინიც გაკარგდებიან,
გმირთ დაუზდიან მამულსა,
ძმათ წამლად დაედებიან—
და საქართველოს კუთხენი
ათას ფრად აყვავდებიან!..

დ. მაჩხანელი.

## ვუძღვნი კრწანისის გმირთ.

ჩუ! დაჰკრა ბუკმა, გავარდა თოფი,
კრწანისის ველი იძვრის ერთიან,
წინწილ-ნაღარა, ხმალთა წკრიალი
მეომართ ყიჟინს უერთდებიან.
«მედგრათ, წინ ძმანო!» ასე ერეკლე
ამხნევებს ჯარსა ხმალ-ამოწვდილი,
ეკვეთნენ მტერსა და სამშობლოს შვილთ
სამშობლოს მკერდზედ ჰპოვეს სიკვდილი...
გათავდა ომი, გლოვისა ზარი
სოფლიდამ სოფელს სწრაფლ გარდაეცა,
და ეს ნიშანი იყო იმისი,
რომ საქართველო დღეს კვლავ დაეცა!

10 სექტემბერს 1895 წ.

ი. ევდოშვილი.

## კრწანისის ბრძოლა.

(ვუძღვნი ღრმად პატივ-ცემულს თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. კოსტანტინე ივანეს ძეს მუხრანის ბატონს, რომლის სახელოვანი წინაპარი და დიდებული სარდალი იოანე მუხრანის ბატონი კრწანისის ბრძოლის ველზედ ღირსეულად და სამაგალითოდ იცავდა საქართველოს დროშას.)

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!“

გრ. ორბელიანი.

აწინდელს საქართველოს, რომელსაც საერთო ცხოვრების მაჯა აღარ უცემს და სამშობლოს წარსული დიდება დავიწყებული აქვს, კრწანისის ბრძოლის სახელი იქნება არც-კი გაეგონოს. ეს საკვირველიც არ უნდა იყვეს. დრო შეიცვალა,—ბრძოლისა და ვაჟ-კაცობის ადგილი უაზრო ქეიფმა და სამარცხვინო ხანჯლის ტრიალმა დაიჭირა. მაშ რად უნდა გვიკვირდეს, რომ სალხინო და სასიამოვნო კრწანისის ბაღები ყველა ტფილელმა იცის და ის-კი აღარ ახსოვთ, რომ ამ ასის წლის წინად კრწანისის ველი სადაც ეს ბაღებია, წითლად შეიღება გმირთა უმანკო სისხლით, რომელიც სამშობლოსთვის დაინთხა. აქ, ამ მწვანე წალკოტთა ადგილას, ძველმა ქართულმა გმირობამ და ქველობამ ააგო ის უხილავი ტაძარი; სადაც არა ერთი და ორი თავ-დადებული მამულისშვილი მდუმარებს და ჟამთა ვითარებას თითქო მწარედ დასცინისო, რადგანაც:

„მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ,
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ უმეცრება ფეხ ქვეშე სთრგუნავს გულითა უგრძნობით!..

თქვენ მიპასუხებთ, რომ კრწანისის ველზედ საქართველოს გმირობა შთაინთქა და დამარცხდა,—თაყვან-საცემი აქ რა არისო. მაგრამ ამისთანა პასუხი ხომ უგუნურება იქნება. დამარცხებაცსხვა და სხვა გვარია. ზოგჯერ დამარცხება უფრო შარავანდედს ჰფენს თვით დამარცხებულს, ვიდრე გამარჯვებულს და სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ქართველობის დამარცხებასაც კრწანისის ბრძოლის ველზედ. ჩვენთვის ღირს-სანატრელი და სამარადისოდ საგონებელია ის თავ-განწირული, აღფრთოვანებული და წმინდა მამულის-შვილობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა კრწანისის ველზედ გამოიჩინეს და სათაკილოდ უნდა მივაჩნდეს მხოლოდ, რომ

„აწ საფლავიცა არსად სჩანს მათთვის,
ჰაერში განჰქრა მათი სახელი,
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა“.,.

დიაღ, უფრო სამწუხარო და სავალალო ისაა, როცა «დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა“ და არა ამ „ერთგულთა ძეთა“ დამარცხება. და თუ ახლა ჩვენმა საზოგადოებამ კრწანისის ველის გმირთა დუმილნი დაარღვია და მათი სახელი სადიდებლად მოიგონა,—აქ გასაკილავი არაფერია. ეს წმინდა გრძნობა მხოლოდ უმეცრებასა და მზაკვრებს შეუძლია. შელახოს და სასაცილოდ აიგდოს...

იქნება ყველა მკითხველმა არც კი იცოდეს, რომ კრწანისის ველი მდებარებს ტფილისის სამხრეთით, ცოტა მაღლობ ადგილას, სადაც ახლა ბაღებია გაშენებული. ეს ადგილი პირ-და-პირ დაჰყურებს ორთა-ჭალას და განჯიდგან მომავალს გზასა. ველი კარგა ფართო და მარჯვე სავარჯიშოა საბრძოლველად. ზემო მხარეს გორაკები არტყია, სამხრეთით ტიტველა კლდოვანი მთა დაჰყურებს, ხოლო ქალაქის მხრით საკმაოდ ღრმა ხევი უძევს. 11 ენკენისთვეს, 1795 წ. ამ ადგილას მოხდა სპარსთა და ქართველთა შორის შესანიშნავი ბრძოლა და ამის გამო კრწანისის ველის სახელი დაუვიწყარი

ღვინოსებ სისხლის მდუღები.
ცამ მოიღრუბლა, მიწამა
ასტეხა გლოვა-ზარია,
სისხლისამ მორწყო წვიმამა
ქართველთა მთა და ბარია.
„როგორც ღრუბელი მოვიდა
მრისხანედ თათრის ჯარია,
ისეთი ვსჩანდით იმასთან
ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
მაგრამ ვინ იტყვის იმასა,—
მტერი გვაჯობებს რიცხვითა?..
ბევრჯელ უტეხავ ქართველსა,
გლდეები გულის ფიცრითა!
„შემოკვლთულნი ჩოხებში
მტერს უცდის ქართველებიო,
და გველის-პირულს ფრანგულებს
ადნება ქარქაშებიო.
„რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
ხმალ-მოწვდით გამალულები
და დავინთქენით სპარსებში,
გარს მტრისგან შემორტყმულები.
ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი,
და თავ-მომწონე დროშებსა
ჭაერში გააქვთ ფრიალი.
აბრეშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზე ჯვარია,
იმისი შემაცქერალი
იბრძვის ქართველთა ჯარია.
იბრძვიან გამწარებულნი
თითო ოც-ოცის მკვლელია...
მაგრამ დავმარცხდით სიმრავლით,
გაცუდდა ვაჟკაცთ ხელია;
გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დაჰხუჭეს მუდმივ თვალნია...
„იმათ ადგება ნათელი,
დასტირის ღამ-ღამ მთვარეო,
მათ სიმამაცის მნახველი
დღესაც ჰკვნესს არე-მარეო“ [5])

არე-მარე ჰკვნესს და ხვალ დაიკვნესებს მთელის საქართველოს გულიცა, როცა პანაშვიდზე ლოცვით და კურთხევით შეავედრებენ ღმერთს იმ საკვირველ ვაჟკაცთა სულსა, რომელთაც ქვეყნის ხსნისათვის კრწანისის მინდორზე „დაიგეს მიწის ლოგინი და სამუდამოდ დაჰხუჭეს თვალნი“.

„არც საფლავიცა არსად სჩანს
მათთვის!..
ჭაერში გაჰქრა მათი სახელი,
და არსად ყამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა!..
დუმილი ჰფარავს ერთგულთა ძვალთ!..“ [6])

ნუ-თუ მართლა ხვალინდელმა დღემაც ისე უნდა ჩაიაროს, რომ ჩვენთვის თავგანწირულ და თავდადებულ მამულიშვილებს არ ეღირსოთ ჩვენგან ღირს-სახსოვარი ძეგლი იმ ადგილს, სადაც იგინი დაიხოცნენ ქვეყნისათვის...სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ხვალინდელი დღე ასე კვალ-დაუჩნევლად გავატაროთ და ძეგლის დადგმისათვის არა ვიფიქროთ-რა. ნუ-თუ ღირსნი არ არიან! ნუ-თუ ჩვენ იმათი სისხლ-ხორცნი იმოდენად უმადურნი ვართ, იმოდენად გულ მოკლენი, რომ თითოოროლა გროშს ვერ გავიმეტებთ მათთვის, ვინც ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის გაიმეტა თავისი თავი, თავისი სიცოცხლე და კრწანისის მინდორზედ დააფრქვია თავისი სისხლი, მტლად დაედო თავის საყვარელს ქვეყანას და თავის მშობელს ერსა?..

[5]) ვაჟა-ფშაველა.

[6]) ნ. ბარათაშვილი.

# ახალი ამბავი

*** ხვალ, 11 სექტემბერს, მთელი ქართველობა. ტფილისის, როგორც შევიტყეთ, დიდის ამბით აპირებს კრწანისის ველზედ ერეკლე მეფისა და მის მეომართა სულის მოსახსენებლად პანაშვიდზედ დასწრებას; ჩვენ რამდენიმე წერილი პროვინციებიდამაც მივიღეთ, რომლითაც გვთხოვენ ვაცნობოთ, როგორ და რა ნაირად წარმოგზავნონ ამ შემთხვევისათვის დამსწრე დეპუტაციები. ერთი სიტყვით, აქ და პროვინციებშიაც ხალხი დიდს სამზადისშია, ღირსეულად მიეგებოს გარდაცვალებულ გმირთა სულის მოსახსენებელს დღეს.

*** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 10 სექტემბერს, დილის ათ საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში, დანიშნულია კრება, რომელმაც უნდა განიხილოს მომავალ ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდების პროექტი. რადგანაც ეს კრება უკანასკნელია, სასურველი და საიმედოც არის, რომ ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება მას.

*** ტფილისის ქალაქის მოურავს თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოფს დღეს მოელიან ტფილისში.

*** რამდენიმე დღის წინად ტფილისის ხელოსნებმა წარუდგინეს გუბერნატორს განზრახულის საზოგადოების წესდების პროექტი, სადაც ჯერ არს გასაგზავნათ და დასამტკიცებლად. ხელოსნებს განუზრახავთ სიმრეწველო ამხანაგობის დაარსება. ამხანაგობა სახელ-წოდებით „შრომა“ არსდება იმისთვის, რომ „მშრომელმა ხელოსანმა თავისს სამართლიანს შრომაში მიიღოს სრული სარგებლობა; ყოველი ხელოსანი ამხანაგობისა უნდა გახდეს თვისის შრომის პატრონი, მას უნდა ეკუთვნოდეს თავისის ხელით ნაწარმოებში თავნიცა და მოგებაც, რომ მით მან გაიადვილოს ცხოვრება და გაიუმჯობესოს ხელოსნობა შეერთებულის ძალით, შრომით და სამართლიანის საქმის წარმოებით; აგრეთვე უნდა სარგებლობდეს მუშტარი, როგორც კარგად ნაკეთებ საქმით, ისე სიიაფით.“

*** «კანონთა კრებულში» დასტამბულია: შემოკლებული ქალაქის თვითმართველობა შემოღებულ უნდა იქმნეს თელავსა, სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა და ოზურგეთში; აგრეთვე კავკასიის ზოგიერთ სხვა სამაზრო ქალაქებში.

*** რედაქციამ მიიღო წიგნი „ღვთივ განათლებულნი თხრობანი სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსა ეწოდების სამოთხის ყვავილი—ძუძლი მოძღვრება—ქადაგებანი. მღვდლის ვასილ გიორგის ძის კარბელოვის მიერ საკუთრებით და რედაქციობით გამოცემული“. წიგნი შეიცავს 295 გვერდს და ღირს სამი აბაზი.

*** „ჩერნომ. ვესტნ.“-ში ვკითხულობთ: სრულიად ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ ჩვენს გაზეთში დასტამბული ამბავი, ვითომც ტფილისის გუბერნატორი თავადი გ. დ. შარვაშიძე ახალსა და უმაღლესს თანამდებობაზე გადაჰყავთო, სრულიად მართალი გამოდგა. მისი ბრწყინვალება მალე მიიღებს ახალს თანამდებობას პეტერბურგში“.

*** ს. ზიარი. აქეთ ამ აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ერთი რაღაცა უცნაური სენი გაუჩნდა საქონელს. საქონელს ყელში რაღაცა უჩნდება და სულ მცირე ხნის განმავლობაში ჰკლავს. ამ სენს ჩვენში ხოკს ეძახიან; ეს სენი ძალიან ბევრათ წააგავს ყელქირვებას და როგორც ადამიანებში იცის ამ სენმა, საქონელსაც უფრო მოზარდს ეტანება,—ხბოსა და ზაქებს, რომელთაც სულ მცირე ხნის განმავლობაში აუგებს ხოლმე ანდერძს. ჯერ-ჯერობით ოთხმოცამდე სული საქონელი იმსხვერპლა. ნუ-თუ ვიდრე ცრემლით არ შევევედროთ, არ იფიქრებს აქაური ადმინისტრაცია რამე ღონე იღონოს და ბეითალი სწორედ მაშინ მოგვაშველოს, როცა გვიჭირს.

*** უკანა-მხარი (კახეთი): ჩვენკენ წრეულ პურის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ღვინის მოსავალი, თუმცა უმისოდაც ისე კარგი არ არის ხოლმე აქაური ღვინო, როგორც წინა-მხრის ღვინო, ძალიან ნაკლებია, რადგანაც ვაზს მილდიუ გაუჩნდა და ნახევარი ვაზი სულ წაახდინა. პური სამაგიეროდ ძალიან იაფად ისყიდებოდა აქამდის, მაგრამ ეხლა-კი, ვგონებთ, ფასი მოემატოს, რადგანაც დღემდის მხოლოდ გაჭირვებულნი ჰყიდიდნენ პურს და ისიც ნახევარ ფასად.

*** ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ბორჩალოს მაზრის დიდს მემამულეს თავ. დ. ზ. ბარათაშვილს გაჰყავს საეტლო გზა სოფელ ახპატიდგან სარი-ხაჩამდე. გზის კეთების დროს მუშებს აღმოუჩენიათ რკინის მადანი, ამბობენ, ამ ადგილას ძალიან დიდი მადნეულობა უნდა იყოსო.

## ერეკლეს ომი კრწანისში.

ქარიმ ყაენის შემდეგ სპარსეთში დიდი არეულობა მოხდა. ეს არეულობა დასრულდა მხოლოდ 1791 წელს, როდესაც ალა-მაჰმად ხან ყაჯარმა, 80 წლის ხადუმმა, სპარსეთის ტახტი დაიპყრა. ამ ყაენმა შეჰკრიბა 100,000 მეომარი, თოფხანა ფრანგებს ჩააბარა და ადირბეჟანის ხანებსა და ერეკლე მეფეს შემოუთვალა დამემორჩილენით, ხარკი და მძევლები გამომიგზავნეთო. ყაენს ჰსურდა ხანები და ერეკლე მეფე ერთად შეეყარა და მათ წინაშე საყაენო გვირგვინი დაედგა თავისს თავზედ. ზოგი ხანი შიშით დამორჩილდა მას, ზოგმა უარი შეუთვალა. უარი შეუთვალეს აგრეთვე შუშისა და ერევნის ხანებმა, რომელნიც ერეკლეს მოხარკენი იყვნენ (პირველი ყოველ წლივ იხდიდა 120,000 მან., ხოლო მეორე—200,000). განჯის ხანი ჯავათი, თუმცა მოხარკე იყო ერეკლესი და ყოველ წლივ იხდიდა 50,000 მან., განუდგა მეფეს და ყაენს მიემხრო. ერეკლემაც უკუაგდო ყაენის შემოთვლილი. ყაენმა 8,000 მეომარი გამოუსია ერევანს, მაგრამ ეს ჯარი შემუსრა ალექსანდრე ერეკლეს ძემ და განაბნია.

ალა-მაჰმად-ხანი სწრაფის სიარულით მოადგა შუშის ციხეს, მაგრამ იგი ფრიად გამაგრებული იყო და ამიტომ ყაენი აიყარა და განჯით ტფილისზედ გამოეშურა 70,000 მხედრობით.

---

შეიქმნა საქართველოს სამხედრო ისტორიაში. აი ამ ბრძოლის მოკლე ამბავიც.

1791 წელს თეირანის ტახტი დაიპყრო ყაჯარის გვარის წარმომადგენელმა ალა-მაჰმად-ხანმა. ერანის ახალს პატრონს პირადი მძულვარება ჰქონდა მეფე ერეკლის. ამბობენ, სპარსეთში ყოფნის დროს ერეკლე აბუჩად იგდებდა ალა-მაჰმად-ხანსაო, ჩვენს „გმირთა გმირს“ მაღლა ეჭირა თავი და თავ-მომწონეს ხოჯას-კი მხდალსა და უნიჭო სარდალს უწოდებდაო. რასაკვირველია, ამ პირადს დამოკიდებულებას თავისი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანმა საომრად სხვა მიზეზი დაიხვია ხელზედ. იმას ჰსურდა, რომ ერეკლეს თავი მოეხარა ერანის მპყრობელისათვის, იმის მორჩილებაში ყოფილიყო, ხარჯი ეძლია და რუსეთის ხელმწიფესთან კავშირი და მეგობრობა მოეშპო. ყრეკლე მეფე და ისიც თავის მოხრა!.. სასაცილო არ არის!? ალა-მაჰმად-ხანი საშინლად განრისხდა. იმის რისხვას სხვა გარემოებაც ზედ დაერთო. 1795 წ. მაისში ალა-მაჰმად-ხანი დიდის ლაშქრით წამოვიდა საქართველოსკენ და შუშის ხანის, იბრეიმის დამორჩილება მოიწადინა. ამ დროს განჯის ხანი ჯავადი, რომელიც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა და ხარჯს აძლევდა, ალა-მაჰმად-ხანს ეახლა, დიდი პატივისცა და ერთგულება გამოუცხადა. ამის გამო ბატონიშვილები იულონ და ალექსანდრე განჯის სახანოს შეესივნენ. ახლა-კი ირანის მბრძანებელმა მოთმინება დაჰკარგა და საქართველოს შესამუსვრელად წამოემართა.

ალა-მაჰმად-ხანმა კარგად იცოდა ერეკლეს ვინაობა, მისი სამხედრო ნიჭი, მხნეობა, გმირობა და ამის გამო ცოტა არ იყოს, კიდეც ფრთხილობდა, შიშობდა, მაგრამ გულისწყრომამ და შურის-ძიებამ სძლია. უნდა მოგეხსენებოდეთ ზნეობრივი სახე ალა-მაჰმად ხანისა. თანამედროენი მნახველნი მოწმობენ, რომ ეს ერანის გვირგვინოსანი განხორციელებული სიმახინჯე იყოო. წარმოიდგინეთ სახე-გამხდარი, დაღმანჭული, უწვერ-ულვაშო, თოთხმეტ თხუთმეტის წლის ბავშვის მზგავსი მოხუცი, ყმაწვილობითვე დასაჭურისებული, მუდამ ბრაზიანი, გულაღრენილი, თითქო სხეულით გახრწნილი, დავრდომილი და სიცოცხლეს მოკლებული დიაციაო, ამას ზედ დაურთეთ უსაზღვრო თავ-მოყვარეობა, უზომო ბატონობის სურვილი, სიფლიდე, ყოველგვარი სიმზაკვრე, და თქვენის თვალის წინ ალა-მაჰმად-ხანის ნამდვილი სურათი იქნება. ან რა ღმობიერება და სულის სიმშვიდე მოეთხოვებოდა იმას, რომელმაც გამოჩენილ ნადირ-შაის ძვლები, შურის-ძიების გამო, საფლავიდგან ამოაღებინა, თავის სასახლის კიბის ქვეშ ჩააფვლევინა მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ დღე ფეხით ეარა ამ ძვლებზედ და გულის ჯავრი მოეკლა...

ენკენისთვის პირველი რიცხვები იყო, როცა ალა-მაჰმად-ხანმა შუშის აღებას თავი დაანება და ტფილისისკენ წამოვიდა. ერეკლე მეფე ემზადებოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი შეუშალა. იმედი ჰქონდა ჩრდილო კავკასიიდგან რუსის ჯარი მომეშველებაო; მოშველებას დაჰპირდნენ კიდეც, მაგრამ ამედი არ აუსრულეს,—სულ უკანასკნელს დროს აცნობეს, რომ დარიალაზედ გზა არ ვარგა და ჯარი ვერ გადმოვაო.. უეჭველია, სხვისი იმედი რომ არ ჰქონოდა, გამჭრიახი და მეთაოსნე ერეკლე საქმეს სხვაფრივ დაიჭერდა და თავის სამეფოში შეკრებდა მტრის დასახვედრად საკმაო ძალას. ვგონებთ ეს გაცრუებული იმედი შეიქმნა, სხვათა შორის, იმის მიზეზიც, რომ თავის დროზედ არც შვილებმა იზრუნეს, რომ ჯარი შეეკრიბათ და მამას მიშველებოდნენ. მტერთან შესაბმელად ერეკლემ შეჰყარა მხოლოდ ხუთი ათასი მეომარი. იმერთა მეფეს სოლომონს ჰყავდა კიდევ ორ ათასამდე ლაშქარი, რომელსაც სარდლად ეყენა ზურაბ წერეთელი. აი ეს მცირედი ლაშქარი დაჰხვდა კრწანისის ველზედ მტრის ჯარს, რომელსაც სამოც-და-ათი ათასი მეომარი შეადგენდა...

ვიდრე კრწანისის ბრძოლა დაიწყებოდა, მეწინავე ქართველების რაზმი მტერს მოსვენებას არ აძლევდა. მცირედი გუნდი მეფის ძის ვახტანგისა და ბატონიშვილების დავითის და იოანესი რამდენჯერმე შეება ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარსა და სძლია კიდეც. მეტადრე დიდს ვაჟ-კაცობას იჩენდა დავითი, გიორგი მეფის ძე, სახელოვანი და ომიანობაში გაწვრთვნილი სარდალი.

ცხრა ენკენისთვეს ალა-მაჰმად-ხანი დაბანაკდა სოღალუღში, მტკვრის პირად. მცხოვრებნი ტფილისიდგან გაიხიზნენ, ქალაქში დარჩა მხოლოდ მცირედი ნაწილი. ტფილისი კარგად იყო გამაგრებული. მეფე ერეკლე არტილერიას დიდს ყურადღებას აქცევდა, საარტილერიო ნაწილი ჯეროვნად ჰქონდა მოწყობილი და ციხეებიდგან ზარბაზნები მრისხანედ დაჰყურებდნენ სეიდ-აბადის მიდამოებს, საიდგანაც მტერი უნდა შემოსულიყო. ალა-მაჰმად-ხანმა განჯის კარით (სადაც ახლა გზატკეცილია ორთაჭალისაკენ) შემოსვლა ვერ გაბედა, გზის სივიწროვე აშინებდა,—ჯარი ფრთას ვერ გაშლისო. ერეკლემ ეს კარგად იცოდა და ამიტომ უნდოდა, რომ შავ-ნაბადისა და თელეთის მთა ზარბაზნებით გაემაგრებინა და მტერი იქიდგან არ მოეშვა. ხოლო სალაშქრო თათბირზედ სხვაფრივ გადასწყვიტეს—მტერს ქალაქის პირად, სეიდ-აბადის კედლების იქით დაუხვდეთო.

ათს ენკენისთვეს, ორშაბათს დღეს, დაიწყო პირველი დიდი ბრძოლა. მტერი კრწანისის მხრით გამოჩნდა და წინ მეწინავე რაზმები წამოსწია. დამსწრენი ამბობენ, რომ ალა-მაჰმად-ხანს ხიფათისა ეშინოდა და ყოველსავე ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ ერეკლემ ქალაქში არ შემიტყუოს და ჯარი სრულიად არ ამომიწყვიტოსო. ამიტომ. ადიდებულს მტკვარში ცხენით გაცურდა, ნათლუხის მხარეს გავიდა და იქიდგან დურბინდით დაათვალიერა,—რა მდგომარეობაში იყო ავლაბარი და მეტეხის ციხე. როცა დარწმუნდა, რომ იმ მხრით საშიში არა მოელოდა-რა, უკანვე დაბრუნდა და ჯარს უბრძანა—ახლა-კი მიდით მტერზედაო.

ათს ენკენისთვეს კრწანისის ველზედ ომი დავით და ზურაბ წერე-

ყოველივე ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ერეკლემ ვერ მოასწრო თავისის მხედრობის შემოკრება. ამ დროს ერეკლეს კაი ძალი ლაშქარი ჰყავდა. თვით ერეკლეს წერილიდგან სჩანს, რომ 14 ივნ. 1795 წელს მარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთში უნდა შემოკრებილიყო 40,000 მეომარი. თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობით, ალა-მაჰმად-ხანის საბრძოლველად ყოველ ბატონიშვილს თავისს საუფლისწულოდამ უნდა მოეყვანა 10,000 მეომარი. მაგრამ ეს ჯარი ვერ შემოიკრიბა დროიანად. ყაენი 10 ენკენისთვეს 1795 წელს კრწანისის მხრით ტფილისს მოადგა. მაგრამ ამის შემდეგ თუ რა მოხდა, ამის შესახებ სიტყვა დავუთმოთ თანამედროვეს—ბატონიშვილს თეიმურაზს [1]), ერეკლეს განუყრელს თანამხლებელს, შემდეგში ბროსეს მასწავლებელს და წევრს სამეცნიერო აკადემიისას.

„...დღესა ორშაბათსა, ათსა რიცხვსა სექტემბრისასა (1795 წ.) ბრძოლა უყო მეფის ძემან დავით მეწინავეთა ალა-მაჰმადისათა ველსა ზედა კრწანისისასა მეწინავითა თვისითა მხედრობითა და ჰყვაცა თვისთანა იმერთა მხედარნი მცირეოდენიცა. და იმყოფებოდა მუნვე იმერეთის მხედართ-მთავარი სახლ-ხუცესი წერეთელი ზურაბ, და სარდალი მემარჯვენე ქართლისა ჯარისა ამილახვარი ოთარი, იოანე მუხრანის ბატონი თავადი მემარცხენე სარდარი, ქიზიყის მოურავი და თავადი ზაქარია ანდრონიკას შვილი. ფრიად მხნედ ბრძოდეს სპარსთა მეწინავეთა და აოტნეს იგინი და მრავალნი სპარსნი მოსრნეს მას დღესა შინა.

ხოლო დღესა სამშაბათსა ის რიცხვსა ენკენისთვისასა განვიდა თვით მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა (7,000-მდე კაცითა) ბრძოლად სპარსთა. და დაადგინა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სეიდაბადის ბაღისა და განჰყო იგინი ხუთ ნაწილად:

„ა) მარჯვენასა მხარესა დაადგინა შვილის-შვილი თვისი დავით, რომელიცა ზემოთ გზით ტფილისიდამ შემოვალს და გზასა მას შეეყრებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი და ეგრეთვე სეიდ-აბათსაცა საშვალცა გარდმოვლის ყორჩაშვილის კერძო მიყოლით გზაჲ იწრო და შეეყრების იგიცა ქვემოსა გზასა ტფილისისასა. ხოლო შუათა ამათ გზათა და ადგილთა მიდამონი ყოველნივე კლდიერნი, მთიურნი და იწრონი არიან. დასდგა მუნ პირისპირ მტერთა დავით და დასცვნა ყოველნივე გზანი კანონიერად. და აქვდა თვისთანა ნაწილიცა არტილერიისა—ექვსი საშუალო და წვრილნი ცეცხლსასროლნი ზარბაზანნი.

„ბ) მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი, რომელთაცა მძღვნად ჰყო შვილის-შვილი თვისი იოანე. მარცხენა კერძი მისცა იოანე მუხრანის ბატონსა.

„გ და დ) კვალად ქმნა ორნი სხვანი გუნდნი და დაადგინნა მხედართმძღვანად ერისა მეფის ძე ვახტანგ. მეორეჲ მისცა მძღვანელობასა ქვეშე ამილახვრის ოთარისა. და დაადგინა იგინი მახლობელ თვისსა, რათა რომელსაცა კერძსა საჭირო იყოს ბრძოლასა შინა, მიაშველოს მუნ იგინი.

„ე) ხოლო იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერეთლოსასა. დასდგის იგინი მარჯვენით კერძო მეფისა.

«ყოველთა მხედრობათა მეფისათა იყვნეს ქვეითნიცა და ცხენოსანნიც, დაწესებულ კანონიერად თვის-თვისთა მძღვანთა ხელისა ქვეშე.

მაშინ უბრძანა მეფემან, რათა მეწინავენი იგი მხედრობანი განვიდნენ ხევსა მას, სადაცა სდგა მეფე მახლობელ მისსა მყოფსა. და მყისვე მძღვანებითა მეფის ძის იოანესითა განვიდა მხედრობა ველსა ზედა კრწანისისასა, ხოლო მარცხენით კერძო ხევისა მის პირისა, სადათცა მისწვდებოდა ტყვია ზარბაზნისა მტერთა, დაადგინა მუნ არტილერია, და მსუბუქნი ზარბაზანნი იყვნეს ყოველთა შორის მწყობრთა.

«ეგრეთვე მეორესა მხარესა მტერთა მხედრობანი განაწყვნა ალა-მაჰმად-ხანმან, რომელნიცა ადგილნი გამოურჩია მათ სარგებლად და დაადგინა მათზედ ათოთხმეტნი სხვანი და სხვანი დიდ-დიდნი მწყობრნი, რომელთა შორის აქვნდეს ზარბაზანი და ზამბურაკნი საკმაონი.

„აღმოვიდეს მაღალთა ზედა გორათა სოღლუხისა, ყაენაბადისა, თელეთისა, კრწანისისა და გარემოთა მისთასა მხედრობანი სპარსთანი და მომართეს მხედართა ქართველთასა. მაშინ მოიგონა ღონე საკვირველი ალა-მაჰმად-ხანმან: ჰყვეს მას მარადის თვისთანა განუშორებლად მხედარნი შინაგანთაგან თურქმანთა, მომიზდულნი კაცნი ექვსი ათასნი, რომელნიცა არა ეგრეთ მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი მათნი არიან მოყვარენი, არამედ სძულთ მათ ფრიად ურთი-ერთი... (ამათ დაავალაო ყაენმა დახოცვა მათი, რომელნიც ბრძოლის ველს გამოექცევიანო).

„იწყეს ბრძოლა დილასა შუადამიდგან მეშვიდესა ჟამსა და ბრძოდეს მეწინავენი მხედარნი მეფისანი საკვირველად. მაშინ მიაშველნა მეფემან კვალად ძე თვისი ვახტანგ მეწინავეთა მხედრობათა და სხვათაგანცა გუნდთა აღმორჩეული მებრძოლნი, შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მაღალთა მათ კლდიერთა გორათა და მთათა ზედა და ბრძოდეს მათ ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინღადა მისდრიკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად.

კვალად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღოლად თვისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიყი და კომედიანტი. და ესე იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი, იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელსდებენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა ტფილისელთასა მტერთა მიმართ. და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსა ლხინსა შინა დაუკვრენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდგან ხმაჲ ესე განამხიარულებს მსმენელთა. ბრძოლანი ესე იყვნეს მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერთა ფიცხლად. და შველოდა გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა. და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწივნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედართა ალა-მაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა. იხილა-რა ალა-მაჰმად-ხანმან სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმითგან ჩემით, ვიდრე აქამომდე, დამიყოფიეს ბრძოლას შინა და არასადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ეს კაცნი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასა“.

ამათ ყაჯარმა შემოახვია დასვენებული ურიცხვი ჯარი. ესენი იბრძოდნენ სიმხნითა უდრეკელესითა, გასწირნეს თავნი თვისნი და შეიწირნეს მსხვერპლად საყვარელისა მამულისა და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხიეს სისხლნი თვისნი.

იხილა-რა მეფემან სიძნელე ესე ბრძოლისა, რაოდენნიცა ძალედვა და ჰყვეს მხედარნი, მიაშველნა. უძრავლესნი და კნინღა სრულიად მოსწყვიდნებოდეს და მცირეოდენი-ღა განერინის. გაგრძელდა ბრძოლაჲ ესე დილისა დაწყებიდგან შვიდის ჟამით ვიდრე საღამოს მეხუთის ჟამამდე. თუმცა-ღა მეფესა კვალად არა ნებავდა უკუნ ქცევაჲ, არამედ მახლობელთა მისთა მოახსენეს რჩევით, რათამცა მოარიდოს მეფემან და თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა. ეტყოდეს მეფესა: «უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშ მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არა რიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილსა ერისათვის შენისა და მსხვერპლი ექმნები მამულსა საყვარელსა, მაგრამ თუ სადამე გწიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რაჲმე, უმეტეს განლაღდნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა.“ თუმცა-ღა მოახსენებდეს მეფესა ესრეთ, გარნა კვალად იმყოფებოდა მუნვე.

ხოლო მხარესა მას, რომელსაცა სდგა მეფის ძე დავით, ოდეს იგი იბრძოდეს სპარსნი და ქართველნი ურთიერთსა, ალა-მაჰმად-ხანმან მიგზავნა მას ზედა მხედრობა ცხენოსანნი სამი-ათასი რჩეულნი მებრძოლნი, არამედ ჰსძლო მათ მეფის ძემან დავით და იოტნა იგინი ვიდრე მხედრობამდე სპარსთა. და თვით ეგრეთვე სცვიდა მითვალულსა მისსა მხარესა. მაშინ სპარსთა შეუკრეს გზანი უკანით კერძო მეფის ძეთა ვახტანგ და იოანეს რათამცა შეიპყრან იგინი. მაგრამ სიბრძნითა თვისითა განაპნეს მათ მხედრობანი მტერთანი და ესრეთ მოვიდეს მეფისა მიმართ დაშთომილითა მთისა მხედარითა, რომელთაცა მოეწყვიდნენ მრავალნი სპარსთაგანნი და თვით მეფის ძენიცა განბასრულ იყ-

[1]) თეიმურაზის მემუარები ამ ბრძოლის შესახებ იხ. Chronique Georgienne-ში (ბროსეს 1833 წლის გამოცემა პარიჟში) და იგივე სიტყვა-სიტყვით 1890 წლის „ივერიის“ №№-ებში: 51, 52, 53, 54, 55, 56. არტემ არარატელის მოთხრობა შესახებ ტფილისის აოხრებისა და ერეკლეს უნუგეშო მდგომარეობისა შემდეგ ქალაქის დაპყრობისა, მოგონილ თხზულებად აღმოჩნდა. (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“ 1892 წლ.)-

---

თელმა ასტეხეს, პირველად იგინი ეკვეთნენ ალა-მაჰმად-ხანის მეწინავეთა. მემარჯვენე ქართლის ჯარს მიუძღოდა ოთარ ამილახვარი, ხოლო მემარცხენეს—იოანე მუხრანის ბატონი. სამის მხრით მიდიოდა ჯარი, სამ გუნდათ იყო დაწყობილი ჩვენი ლაშქარი და მზის ამოსვლის უმალ—

„შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი,
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპართა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი“!...

მეტადრე საოცრად იბრძოდა მეწინავე რაზმში ზაქარია ანდრონიკაშვილი, დაღესტნის შიში და რისხვა, ლეკთაგან „მიწის მგელად“ წოდებული. საღამომდე სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. სპარსთა მეწინავე რაზმი გაიქცა და მრავალი მათგანი მოისრა. გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება,—თითქმის ნახევარ ლაშქარი გასწყდა ბრძოლის ველზედ... ალა-მაჰმად-ხანს ელდა ეცა, როცა თავისის ჯარის დამარცხება დაინახა, იფიქრა კიდეც, რომ საქართველოს გასცლოდა, მაგრამ შინაურმა იუდამ გასცა სამშობლო, საქართველოს მოღალატეებმა დაარწმუნეს—პირველი გამარჯვება არაფერია და მეფე ერეკლეს ძლიერ ცოტა-ღა ჯარი დარჩაო...

გამარჯვებული ქართველთა მხედრობა დაბანაკდა ბრძოლის ველის ახლო, ხარ-ფუხის კლდის კალთებზედ. რუმბებით ღვინო უხვად ჰქონდათ და მთელი ღამე ლხინში გაატარეს. ტფილისის მცხოვრებთაც თავი იქ მოიყარეს. იმათ სარდლათ ამოირჩიეს წარჩინებული მუსიყი და საზანდარი, ვინმე მაჩაბელი, რომელიც დაირის დაკვრითა და სიმღერით ართობდა ჯარსა. ღამის თევამ და ქეიფმა დაჰღალა უიმისოდაც ჯაფას გამოვლილი ჯარი, მაგრამ რას იზამთ, როცა ქართველს ჭირშიაც ლხინი აგონდება....

გათენდა სამშაბათი. ეს იყო თერთმეტს ენკენისთვეს. წვიმიანი დღე დადგა. ღრუბლები ჰფარავდნენ ტფილისს და მისს არე-მარეს. დილის შვიდს საათზედ ჯარი დარაზმული იდგა. და აი რაგვარი იყო ამ ჯარის დაწყობილება:

მეწინავე რაზმად ხევის იქით, კრწანისის ველზედ (სადაც ახლა კრწანისის ბაღებია) დასდგა ბატონიშვილი იოანე. მარჯვნივ, ტაბახმელისა და სოლოლაკის გზების პირდა-პირ, გამაგრდა დავით ბატონიშვილი, ხოლო მარცხენა მხარეს (საიდგანაც ვარანცოვის ქუჩა მიდის) მეფემ იოანე მუხრანის ბატონი დააყენა. მეშველე ჯარი უკან მეფესთან იდგა. ეს მეშველე ჯარი ორის ნაწილისაგან შესდგებოდა—ერთი ბატონიშვილს ვახტანგს ებარა, მეორე—ოთარ ამილახვარს. იმერთა ლაშქარიც ზურაბ წერეთლის წინამძღოლობით მეფეს მარჯვნივ ახლდა. თვით ბრძოლის საქმეს მეფე განაგებდა და სადაც საჭირო იყო, იქ გზავნიდა მეშველე ჯარსა. ტფილისის მცხოვრებთაგან საკუთარი გუნდი შესდგა. ეს გუნდი მეშველედ ითვლებოდა და ემორჩილებოდა ზემოხსენებულს მაჩაბელს, რომელიც ბარბითით (დაირაა) თავის გუნდს წინ მიუძღვოდა.

რასაკვირველია, ბრძოლა ბატონიშვილის იოანეს მეწინავე რაზმმა დაიწყო. პირველადვე იოანე მედგრად შეება მტერსა, მაღლა გორებზე აუხტა და მტრის შუაგული გაარღვია. მეფემ იოანეს მიაშველა ვახტანგი, რომელსაც თან ახლდნენ, სხვა ჯარის გარდა, სამასი რჩეული ვაჟკაცი—არაგველნი და ფშავ-ხევსურნი. ომით გაშმაგებულმა ქართველმა რაზმმა მტრის დროშებამდე უწია და რამდენიმე დროშაც მოსტაცა სპარსთა. ალა-მაჰმად-ხანი, რომელიც მაღლიდგან დაჰყურებდა ამ თავ განწირულს ქართველთა სიმხნეს და სივაჟ-კაცეს, განცვიფრებული იყო და ამბობდა—ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს და ვერ წარმოვიდგენდი ამისთანა გულოვანს და გმირულს ლაშქარსაო... ეს ის წამი იყო, როდესაც არაგველთა და ფშავხევსურთა.—

„გარდაიწერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს...
და შავარდენებრ მიკარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს!..

ალა-მაჰმად ხანის მეწინავე რაზმმა უკან დაიწია, მაგრამ ახალი ჯარი მოეშველა. ქართველნი მაინც არ შედრკნენ, თუმცა-კი დაიღალნენ. როცა სპარსელებმა შენიშნეს, ქართველების ძალა შესუსტდაო, ვახტანგისა და იოანეს რაზმს უკან მოუარეს, გზა შეუკრეს და ირგვლივ შემოერტყნენ. ეს მეტად საშიში იყო, რადგანაც შეიძლებოდა მთელი რაზმი ტყვედ ჩავარდნოდა მტერს ხელში და ამ დროს.—

„რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად
და დაერივნენ თავისებურად“.

გააპეს სპარსთა გუნდი და მეფესთან მივიდნენ.

იოანე მუხრანის ბატონი და დავით ბატონიშვილი თავის ადგილზედ იბრძოდნენ. სპარსთა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დასძრეს. საღამოს პირად ხელ-ჩართული ომი შეიქმნა სეიდ-აბადის ბოლოს, სადაც მეფე იდგა. მოხუცებული ერეკლე შუაგულ ომში გადაერია და ჰსურდა სიცოცხლე შეეწირა მამულისათვის. უეჭველად მოჰკლავდნენ, კიდეც ბატონიშვილი იოანე რომ არ გასჩენოდა. იმან გამოიყვანა მეფე ბრძოლიდგან. თითქმის მთელი ქართველი ლაშქარი გასწყდა—

„თავ-განწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხედრი,
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!“

მეფემ ქალაქს თავი დაანება და მთიულეთს წავიდა. თან გაჰყვნენ მცირედნი მეომარნი, რომელნიც მტრის მახვილს გადურჩნენ. საღამოს ხუთ საათზედ გათავდა საშინელი სისხლის ღვრა. გამარჯვებული ალა-მაჰმად-ხანი ცხენით შებრძანდა ტფილისში. სეიდ-აბადის მოედანზე თათრები მოწიწებით მიეგებნენ და ზვარაკად ცხვრები დაუკლეს. ტფილისს მწარე ბედი და ულმობელი დრო დაუდგა... მაგრამ ქალაქის აოხრება ხომ ბარბაროსობის საქმე იყო და საერთო არა ჰქონდა-რა იმ ვაჟკაცობასთან და გმირობასთან, რომელიც მარტოდ-მარტო ღირსია მოგონებისა და პატივისცემისა და რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ასე აშკარად დაგვანახვეს კრწანისის ველზედ.

ნ. ურბნელი.

9 ენკენისთვეს,
ტფილისი.

ვნენ სრულიად სისხლსა შინა. მაშინ მოეახლნენ სპარსნი, სადა იგი იყოფოდა მეფე და მომართეს ალმაჯებულითა ძლიერებითა და კნინლადა. მოჰკვლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილის-შვილი ამ მეფისა იოანე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოანე მახლობელ პაპისა მისისა მოსულთა სპარსთა და უკუნ აქცივნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფეჲ. ვითარმცა იხილა ალამაჰმადხანმან უკუნქცევა მეფისა, მოუწოდა მყისვე სხვათა ჯართა შესვენებულთა თვისა მხედრობათა და მიმართა მეფესა და შეუდგა უკანა დიდისა ძლიერებითა და თუმცა ტფილისის ციხით ჰსცემდეს ზარბაზნებითა მხედრობასა სპარსისა, ვინაიდგან ალალუა ვინმე უფროსთაგან ტფილისის ციხისა ფრიად მხნედ იყო მას ჟამსა შინა და ზევითგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომრისა ტფილისის ციხით სეიდაბადის გარდმოსავილთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს, და მრავალნი სპარსნი აღწყვიტეს, არამედ შემოვიდეს ტფილისსა შინა, რომელიცა ყოვლითურთ განუმაგრებელ იყო. არცა იყვნეს მხედრობანი მას შინა, არცა მოქალაქეთა ერნი სრულიად ქალაქისა მის. და ოდეს შემოვიდა მხედრობა სპარსთა ქალაქად, მეფე განვიდა ქალაქის ხიდსა ზედა ავლაბრისასა და განემგზავრა არაგვისა კერძოსა.

მოსწყდეს მის ბრძოლასა შინა სპარსნი უმეტეს რვა ათასთა,*) ხოლო მხედრობისაგან მეფისათა მცირეოდენ-ღა დაეტევნეს. ხოლო თავადთაგან მეფისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე. ძე ნიკოლოზ დიანბეგისა, რომელიცა იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი. თავადი გურამიშვილი გიორგი ქუმელად სახელდებული და ესე იყო ერთი უპირველესი მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერი არტილერიისა ხელოვნობას. მოიკლა მუნვე გაბრიელ მაიორი არტილერიისა, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული. ესენი ფრიად საყვარელ და პატივცემულ იყვნეს მეფისა. ესენი ყოვლითა მოზარბაზნეებითა თვისითა მოსწყდეს ერთობრივ ზარბაზანთა თვისთა თანა კვალად მოსწყდეს სხვანიცა ჩინებულთაგანიცა, კაცნი მხნენი. გარდა მებრძოლთაგანნი ეგეოდენნი მოსწყდეს, რომელ ოდეს განვიდა ტფილისით მეფეჲ, გაჰყვეს უკვე მხოლოდ კაცნი ვითარ ას-ორმოცდა-ათნი და უმრავლესნი მათნი იყვნეს დაკოდილნი. ხოლო ოდეს განვიდა მეფე ტფილისითა, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ სამეფოდ თვისად. იპრძვის მხედრობათაცა მისთა მტერთა მიმართ სახელოვანად. არამედ უკანასკნელ, ოდეს იგი მეფე სოლომონ წარემართა გზასა თვისსა, მაშინ უცნობად მისსა განეყვნეს მის მხედრობისაგან კაცნი რაოდენნიმე; ჰგონებდა წინარე წარსვლასა მათსა, გარნა დაადგრენ იგინი ადგილსა დაფარულსა უკანით და ოდეს განეშორა მათ მეფეჲ, იწყეს მათ ავაზაკებრივ მოქმედებაჲ.

მეფის ძე დავით გუნდითა თვისითა ჰსდგა მასვე ადგილსა ვიდრე მახლობლად ჟამადმდე მწუხრისა და რავდენ გზისცა მივიდეს მას ზედა სპარსნი, მარადის სძლია მათ და უკუნაქცივნა, ხოლო იხილა-რა, რომელ აღივსო ტფილისი მხედრობითა სპარსითა და მეფეცა განვიდა ტფილისით, მაშინ მძულებულ იქმნა იგიცა მიქცევად ითათა მათ კლდიერთა და იწროთა გორათა და დამალნა ზარბაზანნი იგი, რომელნიცა აქნდა ხევსა შინა საგუპრისასა, ვინაიდგან შეუძ ან ლებელ იყო განვლად ურემთა გზათა მათგან... და ესრედ განარინნა ზარბაზანნი იგი და არა მისცნა ხელთა შინა მტერთა და ეგრეთ იწროთა გზით განვიდა და განეშორა მტერთა და დღესა მესამესა მივიდა არაგვსა ზედა მთიულეთს პაპასა თვისსა თანა ირაკლის და იყოფოდა მეფისა თანა განუშორებლად ვიდრე მიქცევამდე ალა-მაჰმად-ხანისა.

მეფე ერეკლე, თეიმურაზის თქმით იდგა კაიშაურთ კარს. მასთან იყო მისი სახლობა და დიდი მხედრობა. ბატონიშვილები გიორგი და იულონ ქიზიყსა და ქართლში აგროვებდნენ დიდძალს ჯარს, რადგან მეფე ემზადებოდა შებმოდა მტერს, თუ იგი არ დაუბრუნებდა ტყვეებს და არ აუნაზღაურებდა ზარალს, ტფილისის აოხრებისა გამო მოხდენილს. მეფე ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანს გამოუგზავნა დესპანად კენკია ავალიშვილი და ითხოვა ზავი და ტყვეთა დაბრუნება. აღა მახმად-ხანს ძლიერ იამა, დიდად დაასაჩუქრა დესპანი და აღუქვა მეფეს მოთხოვნილის აღსრულება, ხოლო ითხოვა მძევლად ერთი მეფის ძეთაგანი და ანუ შვილის-შვილთაგანი. ერეკლემ მძევლად ამოირჩია ბატონიშვილი დავითი. მაგრამ ეს ზავი ჩაიშალა განჯის ხანის ჯავათის ვერაგობით. ამან შეატყობინა ყეენს, რომ ერეკლეს დიდძალი ჯარი მოუგროვებია და აპირებს მოულოდნელად თავს დაგვესხას და ამოგვწყვიტოსო. აღა-მახმად-ხანი მაშინათვე აიყ რა და მსწრაფლის სიარულით განივლტო და წავიდა სპარსეთს. იგი იქვე მოკლულ იქმნა ღალატით. მას თავი მოჰკვეთეს მისმავე ხელის მოსამსახურეებმა და ეს მოკვეთილი თავი წაიღეს ქარს. ქარელებმა ყეენის თავი მიაბარეს მიწას. ყეენის გაქცევის შემდეგ ერეკლემ გამოგზავნა ტფილისს ბატონიშვილები ქალაქის ასაშენებლად. ხოლო თითონ წავიდა განჯას, დაიპყრო იგი და ისევ ძველანდებურად დახარკა ჯავათ ხანი.

მ. ჯანაშვილი.

*) და სულ-კი 13,000 სპარსთა მხედარი მოკლულ იქმნა ქართველთა ჯარისა და მოქალაქეთაგან.

# მარინე.

მთელი საქართველო ფეხზე დააყენა სპარსეთის შემოსევამ. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა გააფთრა ასეთმა უსამართლობამ და ამიტომაც ყველა თავ გამეტებით მიისწრაფოდა ბრძოლის ველისაკენ, რომ პირ-ნათლად აესრულებინათ თავისი ვალი—საყვარელი საქართველო გამოეხსნათ მტრის ბრჭყალებიდგან.

თუშ-ხევსურთა დედაკაცები ისეთის სისწრაფითა და ხალისით ამზადებდნენ ქმარ-შვილს, თითქო საქორწილოდ ისტუმრებენ და არა სისხლის სალვრელადო. ზოგი იარაღს სწმენდდა, ზოგი ტანთ-საცმელს ამზადებდა და ზოგი რას არ აკეთებდა ვინ იცის. ყველა მოძრაობდა, ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა. ისმოდა ხეზედ თავ-ჩამოკრულ ცხენების ჭიხვინი, თითქო პატრონებს იწვევენ ჩქარა შეგვაძგით უნაგირი, თორემ დაგვიგვიანდებაო.

მარინეც ამზადებდა თავისს ერთად ერთს შვილს თედოს. მან დილიდგანვე დაათვალიერა ყველა იარაღები, ჩამოიღო კედელზე მიკიდებული ხმალი და თოფი, ამოიღო ხმალი ქარქაშიდგან და ვაჟ-კაცურის მოხდენილობით გასჭვრიტა მარცხენა თვალით; მერე წვერი მიწაში ჩაურჭო, გადაღუნ-გადმოღუნა და როცა დარწმუნდა კარგიაო, ფრჩხილი ჩამოჰკრა ხმალს, რომელმაც ზარივით დაიწკრიალა, და ისევ ჩააგო ქარქაშში; თოფიც ამოიღო ბუდიდგან, კარგად ამოუწმინდა როგორც ფალია, ისე ლულები და კუთხეში მიაყუდა.

„ყოვლად მოწყალე ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი თედო მტრის მახვილისაგან,—ხელ აღპყრობით შევედრა მარინე ღმერთს,—შენ იცი გულთამხილავო, რომ სამშობლოსა და რჯულის სიყვარული მამეტებინებს ამ ერთად-ერთს შვილს, რომელიც ჩემის თვალის ჩინია და რომელსაც მე ახალგაზდამ თავი შევწირე. ღმერთო, ისე პირ-ნათლად ამყოფე საქართველოსთან ჩემი თვრამეტის წლის თედო, როგორც ცხონებული იმისი მამა იყო ყველასაგან ქებული და მხნე მეომარი თავისის ქვეყნის მტერთან...“ ამ სიტყვებით მივიდა მარინე სკივრთან და დაუწყო შვილის ტანისამოსს ამოლაგება, მაგრამ საბრალო დედაკაცს ისე აუდუღდა გული, რომ ის იყო მდუღარე ცრემლებს გადმოჰყრიდა, რომ ამ დროს თედოს ხმა არ გაეგონა.

— დედი, აბა დედი, ბიჭები მზად არიან, მეც გავათავე „ლურჯას“ მოვლა და ეხლა-კი უნდა წავიდე. ნინიამ გვითხრა არ დაიგვიანოთ ყველა სოფლის ბოლოს მოგროვდითო.

— კარგი, შვილო,—მიუგო მარინემ და მიაწოდა წითელი შილას პერანგი—იარაღი მზადა გაქვს და აბა შენ იცი, როგორც მოიხმარ. მართალია ყმაწვილი ხარ, გამოუცდელი, მაგრამ მტერთან ბრძოლას როდის ისწავლი თუ არ ომში!.. ცხონებული მამაშენი სამჯერ იყო ბრძოლის ველზე და სამჯერვე მშვიდობით დაბრუნდა შინ. გაიგონებდა თუ არა, საქართველოს მტერი შემოესიაო, ერთს წუთსაც აღარ დაიცდიდა სახლში, იმიტომ რომ დიდად აფასებ და თავის რჯულს, უყვარდა თავისი სამშობლო და იმის მტერს ზედ რომ შეჰკვდომოდა არად ინაღვლიდა, შენც აგრევე გმართებს თავის გამეტება, თუ გიყვარს შენი ქვეყანა, შენი თემი შენ, შვილო შენის სურვილით მიდიხარ ლაშქრად, და მეც როგორც დედა სამშობლოს მოყვარულის შვილისა და ცოლი მხნე მეომარისა, ვასრულებ მამა-შენის ანდერძს: გაძლევ იმისს ხმალს და გაფიცებ წმიდა გიორგის, თუ გული არ გერჩის საომრად, თუ გეშინია, ნუ წახვალ და მამიშენის სახელს მიწასთან ნუ გაასწორებ...

— ნუ გეშინია, დედი, ამ ხმალმა მევე გამკვეთოს, თუ შე გარცხვინო, მიუგო თედომ და გამოართვა ხმალი.

ხუთის წუთის შემდეგ მზად იყო თედო და ყელი-ყელს გადაჭდობილი დედა შვილი მხურვალედ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, მაგრამ გულ-გაცეცხლებული მარინე მსწრაფლად მოშორდა შვილს, წელმა დაატრიალა პირჯვარი გადასახა და დაუმატა: გამარჯვებულიმც მომსვლი ხარ და დამიკოცნიხარ, შვილო.

— დედი, დედი, ერთხელ კიდევ მომეხვიე მოუბრუნდა თვალ-ცრემლიანი თედო მარინეს.

— ე, ცრემლები რა არის, წარბშეუხრით შესძახა მარინემ, და დოინჯები შემოიწყო წელზედ.

— მომიტევე, დედი, გული ამიჩვილდა, თორემ ლაჩრობით არ მომდის, მწარის ღიმილით მიუგო თედომ და გადაეხვია განრისხებულს დედას. რეტდასხმული მარინე რაღასაც ლუღლუღებდა, მაგრამ თითონაც არ იცოდა, რა უნდა ეთქვა. ამ დროს იმათ ეზოს მიუახლოვდა მოხუცი მეომარი ნინია, რომელიც რამდენსამე ახალგაზდა მხედარს მოუძღვებოდა და თედოც მალე შეუერთდა იმათ. საცოდავი დედა რამდენსამე წამს უძრავად იდგა ერთს ადგილას და გაშტერებული გაჰყურებდა იმ გზას, რომელზედაც ძუა-ფაფარ აშლილი „ლურჯა“ მისს საყვარელს თედოს მიაქანებდა.

მხედრები გასცდნენ სოფლის ორღობეებს, გადადგნენ პატარა ბექზედ და მშვენიერის მწყობრის ხმით შემოსძახეს სიმღერა:

„ვაჟკაცის სახელს უკვდავს-ჰყოფს
სამშობლოს მტერთან ომია:
მკლავი რკინასებრ მაგარი,
ფეხი კლდიდგან კლდეს მხტომია,
თვალი, უტყუვრად შორს მჭვრეტი,
გული მხნე, ვითა ლომია,
ხმალი მტრის სისხლში ნაწრთობი,
ჩახმახი ყალყზედ მდგომია,
წინ ბრძოლის ველი საომრად,
სარდალი რაზმთა მხმობია!
უკუ ქცეული ვაჟკაცი
თემთაგან დასაგმობია“!...

II

საღამოს ბინდმა შესწყვიტა ომი. რამდენსამე დღეს თავ-გამეტებით ბრძოლისაგან დაღალულს ქართლის ჯარს ხვალ უფრო მედგრად შეტაკება მოელოდა სპარსეთის ჯართან, რომელსაც დიდად გამოცდილი და მხნე მეომარი ჯაფარ-ხანი ჰსარდლობდა.

ხალხის მოყვარე ქართველთა მეფე მამაშვილურის დარიგებით ამხნევებდა როგორც ჯარს, ისევე სარდლებს.

— ხვალ უკანასკნელად გადაწყდება საქართველოს ბედი და უბედობა, —სთქვა მეფემ—ხვალ მე უნდა შევებრძოლო სპარსეთის ძლიერ ჯარს, რომელსაც სპარსლები მოელიან და რომელსაც ლომ-გმირი ჯაფარი სარდლობს. საქართველოს აოხრებით ერთხელვე წათამამებულს ჯაფარს იმედი აქვს ეხლაც გაიმარჯვოს, მაგრამ მე და ჩემი საყვარელი ქართველები ან სულ ერთიანად გავწყდებით, და ან შეუპოვარის ხანის თავს ჩვენისავე ბანაკის წინ შუბის წვერზედ აგებულს აღვმართავთ. დიაღ, ეს ასე მოხდება ჩემნო ერთგულნო, ხმა მაღლა დაიძახა მეფემ.

— აღსრულდეს ბრძანება მეფისა. გამარჯვება საქართველოს...სიკვდილი ჯაფარს... ერთხმად იგრიალა ქართველმა ჯარმა. მეფემ რამდენიმე სიტყვით კიდევ მიჰმართა ლაშქარს და ყველა თავთავის ადგილას წავიდა.

III

გათენდა დილა. ქვეყნის მანათობელმა მზემ თავისი ბრწყინვალე სხივები უხვად მოჰფინა ქვეყანას. რამდენისამე ხნის წინად მწვანედ მობიბინე ველი, ეხლა ისე წითლად იყო შეღებილი ადამიანთა სისხლით, რომ ნარინჯში ამოვლებული ეგონებოდა კაცს. ქართველთა და სპარსთა უანგარიშო მკვდრები გულშესაზარად იყო ერთმანეთში არეული. ზოგან მარტო თავი ეგდო, ზოგან ტანი, ზოგან ხელი, ფეხი და ზოგანაც გულ განგმირული ვაჟკაცი, რომელსაც რამდენიმე კაცი ემსხვერპლნა და ბოლოს თითონაც ზედ დაჰკვდომოდა. ამ საზარელს სურათს ფარდა აჰხადა ციურმა მნათობმა, მაგრამ სასისხლოდ გაფთრებულ ლაშქართა გული ვერაფერმა ვერ მოალბო და ვერ შეარყია...

დაჰკრეს საომარს ბუკს, ააფრიალეს დროშა და ორმავე ჯარმა თავ-გამეტებით მიჰმართა ერთმანეთს. სპარსთა ლაშქარი, რომელსაც ჯაფარი წინამძღვრობდა, ისეთის სიმკაცრით შეებრძოლა ქართველ ჯარს, რომ ცის რისხვაზედ უარესი იყო იმათი ომი, მაგრამ მუდამ ომის ალში გაწვრთნილმა ქართველმაც არ დააყენა კარგი დღე იმათ: ასი ქართველი ათას სპარსელს ჰკლავდა და მიწასთან ასწორებდა.

საქართველოს სახელოვანი მეფე შუაგულ ბრძოლის ველზედ იყო და ცოტას, მაგრამ მხნე ქართველებს, ციბრუტივით გარს უტრიალებდა და ამხნევებდა. გაცხარდა ომი. ორსავე ჯარს თან-და თან ცეცხლი ედებოდა, ხმალ ამოღებული სარდლები ხან ამ ჯარში შევარდებოდნენ ელვასავით და ხან იმ ჯარში. მაგრამ ჯერ არავინ იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა.

— მარჯვნით!.. შესძახა ვიღაცამ რიხიანის ხმით სპარსლებს და ჯაფარის ჯარი წამზედ უმალესად მოაწყდა იმ ადგილს, სადაც ქართველთა მეფე იყო.

— ჰკათ მაგას!.. დაიძახა მეფემ და თავ-გამეტებით გაექანა ჯაფარისაკენ; ეს ისე მსწრაფლად მოხდა, რომ თვალ-აბნეული სპარსლები ვეღარც-კი არჩევდნენ, ვინ მტერი იყო და ვინ მოყვარე, ყველას განურჩევლად ხოცდნენ, მაგრამ გამოცდილს ჯაფარს ასე ადვილად ვერავინ შეაშინებდა. ის მარდად მიუხდა ქართველთ მეფეს და ალმასივით მოელვარე მახვილი საიმისოდ ააპრიალა მზის სხივებზედ. ამ დროს ვიღაცის კურთხეულმა მარჯვენამ, ელვის უმალესად სწყვიტა ხმალი ჯაფარის კისერს და ტანიდგან განშორებული თავი ბურთივით გაგორდა ცხენების ფეხებ ქვეშ; ახალგაზდა მხედარმა მოკვეთილს თავს ხმალი ჩაჰკრა, ააგო იმის წვერზედ და მიჰმართა მეპაირადტრეს, მაგრამ გამოუცდელს მხედარს ურიცხვი სპარსთა ჯარი დაედევნა.

აჰა, ეს არის შუაზედ უნდა გაწყვეტონ ქართველი, რომელსაც ჯაფარის თავი მიაქვს, რომ ამ დროს ვიღაცამ მარცხენა მხრიდგან გამოახტუნა შავი ცხენი, გააქანა ქართველ მხედრისაკენ და თავ-განწირულის ხმით შესძახა:

— არ შედრკე, თედო!..

ამ სიტყვებით გამხნევებულმა თედომ იქით გადისროლა ჯაფარის თავი, საიდგანაც ეს ხმა მოესმა და თითონ მამაცურად შემოუტრიალდა მტერს. მას რამდენიმე კაცი მიეშველა და ასტყდა განცალკევებული, მაგრამ გულსაზარი ჩახა-ჩუხი. ჯაფარ-ხანის თავს-კი მეფისაკენ მიაქა-